ადგილობრივ დონეზე სექსიზმის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკონტროლო სია

ევროპის საბჭოს
ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი

The Congress
Le Congrès

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

ნაშრომის სახელწოდება ინგლისურ ენაზე: *Checklist on preventing and combatting sexism at the local level* (English version)

წინამდებარე ნაშრომში გამოხატული მოსაზრებები წარმოადგენს ავტორთა პასუხისმგებლობას და შესაძლოა არ ასახავდეს ევროპის საბჭოს ოფიციალურ პოლიტიკას.

არაუმეტეს 500 სიტყვიანი ნაწყვეტების რეპროდუცირება დაშვებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რეპროდუცირება მიზნად ისახავს კომერციული სარგებლის მიღებას, და იმ ფაქტის გათვალისწინებით თუ დაცული იქნება დოკუმენტების მთლიანობა, ნაწყვეტი არ იქნება გამოყენებული კონტექსტიდან ამოვარდნილი ფორმით, არ იქნება არასრული ინფორმაციის შემცველი ან არ შეიყვანს მკითხველს შეცდომაში ტექსტის ბუნებასთან, მოცულობასა და შინაარსთან დაკავშირებით. წყარო ყოველთვის უნდა იყოს მითითებული როგორც „© ევროპის საბჭო, გამოცემის წელი“. ყველა სხვა თხოვნა დოკუმენტის მთლიანი ტექსტის ან მისი ნაწილის რეპროდუცირებასთან/თარგმნასთან დაკავშირებით უნდა გაეგზავნოს ევროპის საბჭოს კომუნიკაციების დირექტორატს (F-67075 Strasbourg Cedex ან publishing@coe.int).

გამოცემასთან დაკავშირებული ყველა სხვა თხოვნა უნდა გაეგზავნოს ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესს.

ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი
F 67075 Strasbourg Cedex
საფრანგეთი
ელ-ფოსტა: congress.adm@coe.int

დოკუმენტის დიზაინი:
სს ბეჭდვითი სიტყვის კომბინანტი
სურათი: Shutterstock

© ევროპის საბჭო, აპრილი, 2024

ადგილობრივ დონეზე სექსიზმის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკონტროლო სია

საკონტროლო სია, რომელიც სექსიზმის პრევენციასა და მის წინააღმდეგ ბრძოლას ისახავს მიზნად ეფუძნება ევროპის საბჭოს რეკომენდაციებს „სექსიზმის პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა“ CM/Rec (2019). დოკუმენტი მოიცავს იმ ზომებს, რაც საკრებულოებმა სექსიზმისა და მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ქალთა უფლებებზე მისი გავლენის ქონის მიმართულებით შეიძლება გაატარონ.

1. ვალდებულების აღება

- ☐ მერი ან სხვა მაღალი რანგის თანამდებობის პირი იღებს საჯარო ვალდებულებას სექსიზმის პრევენციასა და მის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით.

2. მონაცემები და ინფორმაცია

გენდერული ნიშნით ჩაშლილი ინფორმაცია/მონაცემები გროვდება შემდეგ საკითხებზე:

- ადგილობრივი ტერიტორიის მოსახლეობის რაოდენობა
- საკრებულოების თანამშრომლები
- გენდერული სახელფასო სხვაობა ქალისა და კაცისა საშუალო ხელფასებს შორის
- ადგილობრივი არჩევნების კანდიდატები
- არჩეული წარმომადგენლები
- სერვისის მომხმარებლები და მიმღებები

ეს ინფორმაცია ასევე შეიძლება დაიყოს შემდეგი პარამეტრების მიხედვით:

- ასაკი
- ეთნიკური წარმომავლობა
- რელიგია
- შშმ სტატუსი
- სექსუალური ორიენტაცია
- სხვა

- ☐ შეგროვებული მონაცემები და ინფორმაცია უსაფრთხოდ ინახება და ანონიმურია.
- ☐ შეგროვებული მონაცემები და ინფორმაცია გამოიყენება პოლიტიკისა და პრაქტიკის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.
- ☐ ადგილობრივი ხელისუფლება მუშაობს ქალთა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, რათა გამოავლინოს სექსიზმი და როგორ ებრძოლოს მას.
- ☐ შეგროვებული მონაცემები და ინფორმაცია გამოიყენება გენდერული თანასწორობის საბჭოს პრიორიტეტების განსასაზღვრად.

3. სექსიზმის შეტყობინება და მის წინააღმდეგ ბრძოლა

- ☐ ადგილობრივ ხელისუფლებას შემუშავებული აქვს პოლიტიკა სექსიზმის, სექსუალური შევიწროებისა და სიძულვილის ენის ინციდენტების შესახებ შეტყობინებისა და განხილვის შესახებ.

პოლიტიკა ვრცელდება:

- თანამშრომლებზე
- არჩეულ წარმომადგენლებზე
- სერვისის მომხმარებლებზე

პოლიტიკა განსაზღვრავს:

- ნებისმიერი ინციდენტის შეტყობინების პროცედურას
- გამოძიების პროცესს
- სანქციებს დამნაშავეებისთვის
- ანონიმურობას

- ☐ თანამშრომლებმა და პოლიტიკოსებმა იციან ის ვალდებულებები, რაც მათ სექსიზმის აღმოფხვრისთვისა და სექსუალურ შევიწროებასთან ბრძოლის მიმართულებით გააჩნიათ.
- ☐ სექსიზმის, დისკრიმინაციისა და სიძულვილის ენის პრევენცია და ბრძოლა შედის თანამშრომლებისა და არჩეული წარმომადგენლების ქცევის კოდექსებში.
- ☐ მუნიციპალიტეტის თანამშრომლები გადიან ტრენინგს არასექსისტური ქცევის მნიშვნელობაზე როგორც საზოგადოებასთან, ასევე სამუშაო ადგილზე კოლეგებთან ურთიერთობისას.
- ☐ არჩეული წარმომადგენლები გადიან ტრენინგს სხვა პოლიტიკოსებთან, თანამშრომლებთან და საზოგადოებასთან მუშაობისას არასექსისტური ქცევის მნიშვნელობაზე.

4. ინტერნეტი, სოციალური მედია და ონლაინ სექსისტური სიძულვილის ენა

- ☐ სქესის მიხედვით ჩაშლილი მონაცემები კიბერსექსიზმისა და კიბერძალადობის შესახებ გროვდება, რომელიც მიმართულია ადგილობრივი ხელისუფლების თანამშრომლების ან საარჩევნო კანდიდატებისა და არჩეული პირების მიმართ.

5. კომუნიკაცია

- ☐ ადგილობრივი ხელისუფლების კომუნიკაციის საშუალებები თავისუფალია გენდერული სტერეოტიპებისგან გამოყენებულ ენასა და გავრცელებულ სურათებში.

6. პარტნიორებთან მუშაობა

- ☐ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა დაინტერესებული მხარეები, რომლებიც მუშაობენ ადგილობრივ ხელისუფლებასთან, რელიგიური და თემის ლიდერების ჩათვლით, აცნობიერებენ სექსიზმის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობას.

- ☐ გენდერული თანასწორობის დებულებები შედის საჯარო ტენდერების/ შესყიდვების პოლიტიკაში.

- ☐ ტარდება კამპანიები სერვისის მომხმარებლებთან, მათ შორის, ახალგაზრდებთან, სექსიზმისა და სექსისტური ქცევის წინააღმდეგ ბრძოლის, გენდერული სტერეოტიპებისა და ბულინგის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის, კიბერბულინგის, სექსისტური შეურაცხყოფისა და გენდერული ძალადობის შესახებ.

- ☐ სპორტული ფედერაციები, ასოციაციები და კულტურული დაწესებულებები იცნობენ და მიღებული აქვთ პოლიტიკა თავიანთ საქმიანობაში სექსიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.

7. ოჯახი და პირადი ცხოვრება

- ☐ ადგილობრივი ხელისუფლება ხელს უწყობს პოლიტიკასა და ზომებს საჯარო და პირადი ცხოვრების შეთავსებადობის მხარდასაჭერად. მაგალითად:
    - ხელმისაწვდომია მაღალი ხარისხის ბავშვზე ზრუნვისა და სხვა სოციალური სერვისები.
    - სადაც საჭიროა, თანამშრომლებს აქვთ შესაძლებლობა იმუშაონ მოქნილი გრაფიკით.
    - შეხვედრების დაგეგმვის დროს გათვალისწინებულია მზრუნველობის პასუხისმგებლობის მქონე პირების დასწრების შესაძლებლობა.

8. მიმოხილვა

- ☐ არსებობს სექსიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით განხორციელებული ქმედებების ეფექტიანობის გადახედვის მექანიზმი, რომელიც მოიცავს ქალთა და მუნიციპალიტეტში მომუშავე სამოქალაქო საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების შეხედულებებს.

შენიშვნები

ადგილობრივ პოლიტიკაში სექსიზმთან ბრძოლა და პრევენცია აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქალებისა და კაცების თანაბარი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, რათა მათი პერსპექტივები თანაბრად აისახოს ადგილობრივ დონეზე მიღებულ გადაწყვეტილებებში.

წინამდებარე საკონტროლო სიაში წარმოდგენილია ადგილობრივ დონეზე სექსიზმთან ბრძოლის კონკრეტული ღონისძიებები და ინიციატივები, რომლებიც უზრუნველყოფენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალების აქტიურ და ეფექტურ ჩართულობას. სია განკუთვნილია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მათი ეროვნული ასოციაციებისათვის.

ადგილობრივ თვითმმართველობაში სექსიზმთან ბრძოლა საჭიროებს კონცენტრირებული ძალისხმევის განხორციელებას მმართველობის ყველა დონეზე, სამართალდამცავ ორგანოებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობას. ისეთი პრაქტიკული ნაბიჯები, როგორიცაა სანდო მონაცემების შეგროვება, ცნობიერების ამაღლება და შესაძლებლობების განვითარება ხელს შეუწყობს პრობლემის მასშტაბისა და ბუნების შესახებ საერთო წარმოდგენის შექმნას. საჯარო ხელისუფლების მიერ აღებული ვალდებულებები, მის მიერ დასახული მკაფიო მიზნები, ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად გამოყოფილ საკმარის რესურსებთან ერთად, ხელს შეუწყობს გამჭვირვალე სტრუქტურების შექმნას, გენდერულად ინკლუზიური ინსტიტუციონალური კულტურის ჩამოყალიბებასა და თანასწორობის გაუმჯობესებას.

KAT

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში წამყვანი ორგანიზაცია კონტინენტზე. ის აერთიანებს 46 წევრ სახელმწიფოს, მათ შორის, ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოს. ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი არის ევროპის საბჭოს ინსტიტუტი, რომელიც პასუხისმგებელია ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის გაძლიერებაზე საბჭოს 46 წევრ სახელმწიფოში. კონგრესი შედგება ორი პალატისაგან - ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების პალატისა და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების პალატისაგან - და სამი კომიტეტისაგან. ის აერთიანებს 130 000-ზე მეტი ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენელ 612 არჩეულ თანამდებობის პირს.

www.coe.int

The Congress
Le Congrès

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE